საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/104

ქ. ბათუმი 03 მაისი, 2022 წ.

,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს N07-01/22, 20.04.2022წ. გადაწყვეტილებით) და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 03 მაისის N442822 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების დანართებში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, ბრძანების **დანართი №1** და **დანართი №2** ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციებით (**დანართ №1 - საგანმანათლებლო, კულტურისა და სპორტის მიმართულებით საპროექტო განაცხადის ფორმა** და **დანართი №2** - სამეცნიერო საპროექტო განაცხადის ფორმა).
2. ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო ფორმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ბსუ-ს პორტალისა და სხვა წყაროების საშუალებით.
3. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით მომზადდეს ,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების კოდიფიცირებული აქტი.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-02/104 ბრძანების

დანართი 1

(ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების **N1 დანართის** განახლებული რედაქცია)

სტუდენტური საპროექტო განაცხადი

(საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით)

განმცხადებელი	**პროექტის ხელმძღვანელის/**განმცხადებლის **სახელი,** გვარი, პირადი ნომერი		
	სტუდენტთა ჯგუფის/**გაერთიანების სახელი** (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)		
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი		
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის იწგლისურად)		
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	**დაწყების თარიღი** --/---------/------ (რიცხვი/თვე/წელი)	**დასრულების თარიღი** --/---------/------ (რიცხვი/თვე/წელი)
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი		
	თანადაფინანსება		
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა		

ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)	
თარიღი	--/---------/------ რიცხვი/თვე/წელი

პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა:** ----------

(<u>შენიშვნა:</u> პრობლემის განსაზღვრის დროს უნდა აღიწეროს, თუ რა საჭიროება განაპირობებს საგანმანათლებლო/ კულტურულ-შემოქმედებით/ სპორტული სახის პროექტის ჩატარების აუცილებლობას).

ბ) **მიზანი:** ----------

(<u>შენიშვნა:</u> მიზნები უნდა იყოს ლოგიკურ კავშირში პროექტის აღწერის ,,ა" ქვეპუნქტში აღნიშნულ პრობლემასთან, უნდა მიეთითოს, თუ რა უნდა იქნეს მიღწეული წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისას);

გ) **ამოცანები:** ----------

(<u>შენიშვნა:</u> უნდა აღიწეროს კონკრეტული ნაბიჯები/ამოცანები, რომელთა შესრულებას ისახავს მიზნად წარმოდგენილი პროექტი (შეიძლება დაისახოთ ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა, პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით)).

დ) **განხორციელების გზები:** ----------

(<u>შენიშვნა</u>: პროექტის აღწერაში აღნიშნული ამოცანების შესრულებისათვის დაგეგმილი უფრო კონკრეტული ნაბიჯები-განხორციელების გზები, რომლებიც პასუხობს შემდეგ კითხვებს: 1. როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს? 2. ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?)

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი
(შესრულების გეგმა)

პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვს) თვეს. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა პროექტი დროში შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდეს: დღეები, კვირეები და თვეები. **(მაგალითად:**

,, I ეტაპი - ტრეინინგისათვის შევქმნით ელექტრონულ აპლიკაციას და გამოვაცხადებთ შესარჩევ კონკურს - 15/06/2022 – 20/06/2022;

II ეტაპი - გამოვავლენთ გამარჯვებულებს, მოვიწვევთ ტრეინინგზე - 20/06/2022 – 30/06/2022;

III ეტაპი - ჩავატარებთ ტრეინინგს, მონაწილეებს გადავცემთ სიგელებს და სხვადასხვა ნომინაციებში დავაჯილდოებთ გამარჯვებულებს - ტრეინინგის დახურვა - 2/07/2022 – 06-07/2022 . ")

	საგანმანათლებლო/კულტურის/სპორტის მიმართულებით **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი**						
N	**პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები**	**1** თვე	**2** თვე	**3** თვე	**4** თვე	**5** თვე	**6** თვე
	ეტაპი I						
1							
2							
3							
	ეტაპი II						
1							
2							
3							
	ეტაპი III						
1							
2							
3							

	ეტაპი IV						
1							
2							
3							

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: ----------

(შენიშვნა: აქ უნდა აღწეროთ პროექტის ძირითადი მომხმარებლების შესახებ, თუ ვისზეა/რა ჯგუფზეა გათვლილი წარმოდგენილი პროექტი).

მოსალოდნელი შედეგები: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა აღიწეროს ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც დადგება წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში. სასურველია შედეგები დაიყოს შემდეგნაირად: ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით; ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით; ასევე სასურველია მიუთითოთ, რა გავლენა შეიძლება იქონიოს განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე/მიმართულებაზე ან/და სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და ა.შ.)

მონიტორინგი: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, თუ როგორი იქნება პროექტის განხორციელების/მიმდინარეობის/შესრულების მონიტორინგის მექანიზმი და პერიოდულობა).

შეფასება: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N 01-02/104 ბრძანების

დანართი 2

(ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების N2 დანართის განახლებული რედაქცია)

სტუდენტური სამეცნიერო საპროექტო განაცხადი

განმცხადებელი	**პროექტის ავტორის სახელი, გვარი,** პირადი ნომერი (სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)		
	სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი (დაკავებული თანამდებობა)		
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი		
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)		
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	**დაწყების თარიღი**	**დასრულების თარიღი**
		--/---------/------	--/---------/------
		(რიცხვი/თვე/წელი)	**(რიცხვი/თვე/წელი)**
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი		
	თანადაფინანსება		
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა		

ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)	
თარიღი	--/---------/------ რიცხვი/თვე/წელი

სამეცნიერო პროექტის აღწერილობა

1.1. საკვლევი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება: ----------

(შენიშვნა: აქ უნდა აღწეროთ პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; პროექტის მნიშვნელობისა და აქტუალობის დასაბუთება; პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვა)

1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები: ----------

(შენიშვნა: აქ უნდა აღწეროთ კვლევის მიზნები და ამოცანები; პროექტის საბოლოო მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანების და ეტაპების ჩამონათვალი და მოკლე აღწერილობა, მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვა)

1.3. კვლევის მეთოდოლოგია: ---------

(შენიშვნა: აქ უნდა აღწეროთ კვლევაში გამოსაყენებელი მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და შესაბამისობა პროექტის მიზნებთან)

1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და კვლევის შედეგების გავრცელების პერსპექტივა: ----------

(შენიშვნა: აქ უნდა აღწეროთ პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება დარგისათვის; პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა)

1.5. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი: ---------

(შენიშვნა: პროექტის განხორციელების ვადა <u>არ უნდა აღემატებოდეს 6 (ექვს) თვეს,</u> პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა პროექტი დროში განაწილდეს შემდეგი თანმიმდევრობით: <u>დღეები, კვირეები და თვეები,</u> მაგალითად:

	სამეცნიერო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი							
N	**პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები**	**1 თვე**	**2 თვე**	**3 თვე**	**4 თვე**	**5 თვე**	**6 თვე**	**აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება (პროგრამული კუთხით)**
	ეტაპი I							
1								
2								
	ეტაპი II							
1								
2								
	ეტაპი III							
1								
2								
	ეტაპი IV							
1								
2								